განმარტებითი ბარათი

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ კანონპროექტის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) <u>კანონპროექტის მიღების მიზეზი</u>:

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღების მიზეზია იმ პრობლემის არსებობა, რომელიც შესაძლოა წარმოიქმნას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის მოქმედების შეჩერებით, თუ საკონსტიტუციო სასამართლომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება სადავო ნორმატიული აქტის გამო. ასეთ შემთხვევაში, დროებითი, მაგრამ ხანგრძლივი „საკანონმდებლო ვაკუუმის“ გამო, შესაძლოა, ზიანი მიადგეთ მესამე პირებს.

ა.ბ) <u>კანონპროექტის მიზანი</u>:

კანონპროექტის მიზანია „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ისეთი ცვლილების შეტანა, რომელიც უზრუნველყოფს როგორც მოდავის, ასევე მესამე პირთა ინტერესების მაქსიმალურ დაცვას ზემოაღნიშნული „საკანონმდებლო ვაკუუმის“ ხანგრძლივობის შემცირებით დასაშვებ ზღვრამდე.

ა.გ) <u>კანონპროექტის ძირითადი არსი</u>:

კანონპროექტის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეაჩერებს სადავო აქტის ან მისი სათანადო ნაწილის მოქმედებას, საბოლოო გადაწყვეტილება მან სადავო აქტის ან მისი სათანადო ნაწილის მოქმედების შეჩერებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში უნდა მიიღოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სადავო აქტის ან მისი სათანადო ნაწილის მოქმედების შეჩერების გადაწყვეტილება ძალას კარგავს მისი მიღებიდან 31-ე კალენდარული დღიდან.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) <u>კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო</u>:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ ახდენს ბიუჯეტის არც საშემოსავლო და არც ხარჯვით ნაწილზე.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:
კანონპროექტის მიღება გავლენას არ ახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:
კანონპროექტის მიღება გავლენას არ ახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:
კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოსთვის ახალი ფინანსური ვალდებულებების დაკისრებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:
კანონპროექტის მიღებამ შესაძლოა მხოლოდ გააუმჯობესოს იმ პირთა ფინანსური მდგომარეობა, რომლებზეც გავრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):
კანონპროექტით არ ხდება რაიმე გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის დაწესება ან მათი განაკვეთების განსაზღვრა.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:
კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:
კანონპროექტის მომზადების პროცესში მონაწილეობა არ მიუღიათ არასახელმწიფო დაწესებულებებს, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ექსპერტებს.

დ.ბ) <u>კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში</u>:
კანონპროექტს არ ახლავს ექსპერტის შეფასება.

ე) <u>კანონპროექტის ავტორი</u>:
კანონპროექტის ავტორია საქართველოს პარლამენტის წევრი ვახტანგ ხმალაძე.

ვ) <u>კანონპროექტის ინიციატორი</u>:
კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის წევრი ვახტანგ ხმალაძე.